



## ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების წარმომადგენელთა ღვაწლი საქართველოს ისტორიაში

*დამხმარე სახელმძღვანელო მასწავლებლებისთვის*

თბილისი

2019

*დამხმარე სახელმძღვანელო მასწავლებლებისთვის შეიქმნა მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტისა(CIPDD) და ღია საზოგადოების ფონდის(OSGF) ერთობლივი პროექტის – “ავარელი და ქართველი ახალგაზრდების სამოქალაქო ინტეგრაცია”, ფარგლებში*

*ავტორი:*

გიორგი მენაფირე

ნინო ჩაჩანიძე

*რედაქტორი:*

ზეინაზ სარაძე

ლელა ჩახაია

2019 წ.

## სარჩევი

შესავალი .....	4
ებრაული თემი .....	6
კათოლიკე თემი .....	11
სომხური თემი .....	17
მუსლიმი თემი .....	21
დამხმარე რესურსები .....	26
სასწავლო აქტივობები .....	26
ვიდეო რესურსები .....	28
დანართი.....	29
გამოყენებული ლიტერატურა.....	45

## შესავალი

კავკასიის რეგიონი მრავალეთნიკურობასა და მრავალეროვნულობასთან ერთად რელიგიური მრავალფეროვნებითაც გამოირჩევა. კულტურული ნაირგვარობა ყოველთვის ამდიდრებდა და საინტერესოს ხდიდა ამ რეგიონს. საქართველო კავკასიის რეგიონში მდებარე ქვეყნებს შორის კიდევ უფრო მეტად გამოირჩევა მრავალფეროვნებით: მრავალი საუკუნის განმავლობაში ჩვენს ქვეყანაში ცხოვრობდნენ და დღემდე ცხოვრობენ სხვადასხვა რელიგიური და ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლები. ამ თანაცხოვრების ჰარმონიულობა ყველაზე უკეთ სწორედ ქალაქების ფიზიკურ მახასიათებლებზე აისახა. ჩვენი ქვეყნის დედაქალაქი - თბილისი, კულტურული მრავალფეროვნების ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითია. აქ მრავალი საუკუნის მანძილზე ერთმანეთის გვერდით ცხოვრობდნენ ქართველები, ებრაელები, სომხები, რუსები, გერმანელები და სხვა ეთნიკური თუ რელიგიური ჯგუფების წარმომადგენლები. მათი სახლები და რელიგიური ცენტრები ისევე ახლოს იყო ერთმანეთთან, როგორც ამ ინდივიდთა შორის არსებული ადამიანური ურთიერთობები. დღესაც ძველ თბილისში მართლმადიდებლური ტაძრის გვერდით შეგვიძლია ვნახოთ სომხური, ებრაული ან მუსლიმური სალოცავი.

თუმცა უნდა ითქვას, რომ დროდადრო ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში კავკასიის რეგიონი სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის დაპირისპირების არეალიც ყოფილა. გასულ საუკუნეში ტოტალიტარული რეჟიმის კრიზისმა ერთაშორისი ურთიერთობა გაამწვავა და საფუძველი შეუქმნა სეპარატიზმს. მრავალეთნიკური კავკასიის სახელმწიფოებში, მათ შორის საქართველოში, ხშირად თავი უჩენია სპონტანურად ან სულაც სრულიად ხელოვნურად პროვოცირებულ კონფლიქტებს.

სახელმწიფოებისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად სწორედ ეროვნული უმცირესობების საკითხი დგას (მსოფლიოს 190 ქვეყნიდან მხოლოდ თერთმეტია მონოეთნიკური) მათ შორის – ჩვენი ქვეყნისთვის. 2014 წლის აღწერის მონაცემების მიხედვით, მოსახლეობის 86,8%-ს ქართველები

შეადგენენ. სხვა ეთნიკური ჯგუფების ოდენობა შემდეგია: აზერბაიჯანელები - 6.3%, სომხები- 4.5%, რუსები - 0.7%, ოსები - 0.4%, იეზიდები - 0.3%, უკრაინელები - 0.2%, ქისტები - 0.2%, ბერძნები - 0.1%. რაც შეეხება საქართველოში რელიგიურ სურათს, ამავე აღწერის მიხედვით, ჩვენი მოსახლეობის 98,1% თავს მიიჩნევს რომელიმე რელიგიური აღმსარებლობის მიმდევრად, რაც რელიგიური მიკუთვნებულობის ერთ-ერთი მაღალი მაჩვენებელია მსოფლიოში. მართლმადიდებელი ქრისტიანია 83.4%, მუსლიმი - 10.7%, სომხური სამოციქულო ეკლესიის მიმდევარი - 2.9%, კათოლიკე ქრისტიანი - 0.5%, იეჰოვას მოწმე - 0,3%, იეზიდი - 0.2%, პროტესტანტი - 0.1%, არც ერთი - 0.5%, უარი პასუხზე - 0.3%. ქართველებს სხვადასხვა ეთნოსთან თანაცხოვრების მრავალსაუკუნოვანი გამოცდილება აქვთ, რაც საფუძველი უნდა იყოს სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესის სწორად წარსამართად. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ახალგაზრდები სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფისა და რელიგიების შესახებ მრავალფეროვან და საჭირო ინფორმაციას ფლობდნენ. ამგვარი ინფორმაციის მიწოდება სკოლის ასაკიდან იწყება. სწორედ ამიტომ დავისახეთ მიზნად, პედაგოგებისათვის ეს გზამკვლევი შეგვედგინა. იგი მოიცავს იმის რამდენიმე თვალსაჩინო მაგალითს, თუ რა წვლილი შეიტანეს რელიგიურმა უმცირესობებმა ქართული სახელმწიფოს კულტურულ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ვფიქრობთ, აქ წარმოდგენილი ინფორმაცია უფრო მრავალფეროვანს გახდის სასწავლო პროცესს. კრებულში მოხმობლი რელიგიური და ეთნიკური მრავალფეროვნების თვალსაჩინო მაგალითები დაეხმარება პედაგოგებს საგაკვეთილო პროცესის გამდიდრებაში. გზამკვლევაში ჩვენ განვიხილავთ მხოლოდ ოთხ დიდ თემს, რომლებმაც თავისი დადებითი წვლილი შეიტანეს საქართველოს განვითარებაში, თუმცა მათ გარდა საქართველოში არსებობს კიდევ უამრავი სხვა შედარებით პატარა რელიგიური და ეთნიკური თემი, რომელთა დამსახურება ქართული სახელმწიფოს წინაშე ასევე ღირსსაცნობი და დასაფასებელია.

## ებრაული თემი

ებრაელები - სემიტური მოდგმის უძველესი ხალხის საერთო ეთნიკური სახელია; ისინი ცხოვრობდნენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, ხოლო 1948 წლის გაეროს გენერალური ასამბლეის გადაწყვეტილებით შეიქმნა ებრაელთა სახელმწიფო - ისრაელი, რომლის ოფიციალური ენაა ივრითი, ხოლო რელიგია იუდაიზმი.

ქართული საისტორიო მწერლობა ებრაელთა საქართველოში მოსვლას ბაბილონის მეფის ნაბუქოდონოსორის მიერ იერუსალიმის აღებას (ძვ.წ 586წ) უკავშირებს. იეჰუდას სახელმწიფოდან ებრაელებს საქართველომდე მოუღწევიათ და ქალაქ მცხეთაში დასახლებულან. მე-4 საუკუნეში მცხეთის იმ უბანს, სადაც ისინი სახლობდნენ, „უბანი ჰურიათა“ ეწოდებოდა, ხოლო მათ რელიგიურ ცენტრს „ბაგინი ჰურიათა“. „მოქცევაი ქართლისაიში“ ხაზგასმულია ებრაელთა განსაკუთრებული როლი ქრისტიანობის გავრცელებაში: მცხეთელი ებრაელი ქალი სიდონია, ქართული ეკლესიის პირველი წმინდანია, ხოლო ქართველი ებრაელი ელიოზ მცხეთელი ქრისტეს კვართის ჩამომტანია საქართველოში. ებრაელთა დასახლება საქართველოს სხვადასხვა კუთხეში შემდგომშიც არ შემწყდარა: მრავალსაუკუნოვანმა მშვიდობიანმა თანახცოვრებამ გააჩინა ტერმინი - ქართველი ებრაელი. მიუხედავად თანმდევი ასიმილაციისა, ებრაელებმა შეინარჩუნეს საკუთარი რელიგია, ტრადიციები და თვითმყოფადი კულტურა.<sup>1</sup>

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ რუსეთში 1905 წლიდან დაწყებული ანტისემიტური მოძრაობა საქართველოში არ გავრცელებულა. 1912 წელს აკაკი წერეთელმა რაჭა-ლეჩხუმში მოგზაურობის დროს ონელი ებრაელების წინაშე სიტყვით გამოსვლისას აღნიშნა, რომ „დადგება დრო, ერთა ჩაგვრა მოისპობა და თქვენც თავისუფლად ამოისუნთქებთ“. ილია ჭავჭავაძეც საგანგებოდ აღნიშნავდა ქართველებისა და ებრაელების ურთიერთობის განსაკუთრებულობაზე: „ძვირად სადმე შეეთვისებიან ებრაელები სხვა ხალხს

---

<sup>1</sup> მრავალეთნიკური და მრავალფეროვანი საქართველო. გვ. 151.

ისე, როგორც ქართველებს შეეთვისნენ.... უკანასკნელ დროს და ახლაც, არც ერთ უფლებას არ იყვნენ მოკლებულნი, რომელიც ქრისტიანებს ქონდათ მინიჭებული“<sup>2</sup>

ქართველი ებრაელები აქტიურად იყვნენ ჩართულები საქართველოს პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. საქართველოს დესპანებად წარგზავნილი ებრაელები აქტიურად მონაწილეობდნენ ჯერ კიდევ ერეკლე მეორის სამეფო კარის საქმეებში. ისინი მონაწილეობდნენ საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტის ფორმირებაშიც, პირველ ქართველ პარლამენტართა შორის იყვნენ აბრამ ბუზიაშვილი და მოსე დავარაშვილი. მათ ამავე პერიოდში, 1918 წლის იანვარში დაარსეს ნაციონალური საქმეების ებრაული კომისარიატი და ქართველ ებრაელთა ლიდერებმა თბილისის სინაგოგის - ბეთ ქსენეთის ოქროს მარაგის ნაწილი საქართველოს ხაზინაში შეიტანეს. ეს ემსახურებოდა ქვეყნის დამოუკიდებლობისაკენ სწაფვასა და ეკონომიკურ გაძლიერებას.

ისტორიულ სამშობლოში დაბრუნების იდეა, სიონიზმის სახით, XIX საუკუნის ბოლოს საქართველოს სხვადასხვა ქალაქშიც გავრცელდა. 1905 წლის რევოლუციის დროს შეიქმნა ებრაელთა ეროვნული კომიტეტი, რომელმაც 1919 წელს თავი საქართველოს სიონისტურ კომიტეტად გამოაცხადა. დავით ბააზოვი (1883-1946) იყო სიონისტური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, რომელმაც თავის დროზე განათლება ევროპაში მიიღო და შემდგომ საქამიანობის გასაგრძელებლად საქართველოში დაბრუნდა.<sup>3</sup> (დანართი 1) ქალაქ ონში დაიწყო მრევლის შემოკრება, წერა-კითხვის არმცოდნე ბავშვებისათვის საბაზო სკოლის ჩამოყალიბებაც მის სახელს უკავშირდება. 1913 წელს ფრანკფურტში, ებრაელთა ერთ-ერთ საერთაშორისო თავყრილობაზე დავით ბააზოვმა სიტყვით გამოსვლისას განაცხადა: „ქვეყანა საიდანაც მე ჩამოვედი, შორეულ კავკასიაშია. მას საქართველო ჰქვია. ეს არის ქვეყანა, სადაც არასოდეს არ ყოფილა ებრაელთა რბევა. მის შვილებს არასოდეს არ აუწიოკებიათ ჩემი ხალხი და აგერ ოცი

---

<sup>2</sup> მრავალეთნიკური და მრავალფეროვანი საქართველო. გვ. 173

საუკუნეა, ტკბილად და ძმურად ვცხოვრობთ“.<sup>4</sup> როგორც ზემოთ აღვნიშნე დავით ბააზოვი სათავეში ჩაუდგა სიონისტურ მოძრაობას და ამასთან ერთად დაუპირისპირდა უკიდურესად რეპრესიულ ცარისტულ რეჟიმს. მუდმივად თანაუგრძნობდა მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ მებრძოლ ახალგაზრდებს, რაც, რა თქმა უნდა, შეუჩნეველი არ დარჩენილა: ოცდაათიან წლებში მას შვილი დაუხვრიტეს, ხოლო თავად ციმბირში გადაასახლეს. დღეს თბილისში ფუნქციობს დავით ბააზოვის სახელობის საქართველოს ებრაელთა მუზეუმი, რომელიც აერთიანებს საქართველოში ებრაელთა ცხოვრების ისტორიასა და მათ კულტურულ მონაპოვარს.

ქართველ ებრაელებზე საუბრისას აუცილებლად უნდა ვახსენოთ ქუთაისელი ებრაელების განსაკუთრებული ღვაწლი. მათ შესახებ ჟაკ ფრანსუა გამბა 1824-1826 წლებში გამოცემულ თავის წიგნში *მოგ ზაურობა ამიერკავკასიაში* წერდა, რომ ქუთაისში 800 ებრაელი ცხოვრობდა, რაც ქალაქში მცხოვრებთა ნახევარი იყო. ებრელთა დასახლების ადგილი 1833 წელს შედგენილ დიუბუა დე მონპერეს რუკაზე მონიშნულია „ებრაელთა უბნის“ სახელწოდებით.<sup>5</sup> აქ დგას ებრაელთა სალოცავი- სინაგოგა, რომელიც XIX საუკუნის 80-იან წლებშია აგებული და ნაკურთხია 1887 წლის 14 მაისს. ამ პერიოდის ქუთაისის რაბინი გახლდათ, სიმონ მოშეს ძე რიჟინაშვილი, რომელმაც ებრაული ენის სახელმძღვანელო „სეფერ ხინუხიმ ჰანეარიმი“ ჯერ საქართველოში, შემდეგ კი იერუსალიმში გამოსცა. ებრაელი თემის წარმომადგენლები ზოგჯერ ფინანსურ დახმარებასაც უწევდნენ ქართველებს. ქუთაისის ერთ-ერთ უბანში, რომელსაც მწვანეყვავილა ჰქვია, არის მთავარანგელოზის ეკლესია, რომელიც 1944-1946 წლებში საკათედრო ტაძრის ფუნქციას ასრულებდა. ამ ტაძარში მსახურობდა ნაუმ შავიანიძე, რომელსაც ძალიან საინტერესო ამბავი უკავშირდება: მამა ნაუმი, ერთხელ წირვის შემდეგ ძალიან დაღონებული ქუჩაში მიმავალი შეუნიშნავს რაბინს, უკითხავს, რა მოხდაო, ქართველ ღვთისმსახურს უპასუხია, რომ ფინგანს (საფინასო სამსახურის წარმომადგენელი) მისგან იმხელა

---

<sup>4</sup> *ეთნოსები საქართველოში*. გვ.122

<sup>5</sup> *დავიწყებული ისტორიები: კათოლიკური და ებრაელი თემები ქუთაისში*. გვ.16



გადასახადი მოუთხოვია, რომელსაც ვერ იხდიდა და ეკლესიის დახურვის ემინოდა. რაბინს საჭირო თანხა მიუცია მამა ნაუმისათვის და უთქვამს: დღეს შენ დაგხურავენ. გენაცვალე, და ხვალ მე მომადგებიანო. ამ ფაქტის ნამდვილობას ადასტურებს მეუფე ნაუმის პირად არქივში არსებული წერილი, სადაც ის დახმარების თხოვნით მიმართავს ქუთაისის მღვდელმთავარს, რათა ეკლესია არ დაიხუროს.<sup>6</sup> ებრაელი თემის წარმამადგენლები არაერთხელ დახმარებიან ფინანსურად, როგორც სახელმწიფო ხაზინას, ასევე ცალკეულ ადამიანებს.

აუცილებელია ვახსენოთ XIX საუკუნის ბოლოს ქართველი ებრაელების მიერ ონში აშენებული დიდი სინაგოგა, რომლის მშენებლობაც სწორედ დავით ბააზოვის სახელს უკავშირდება და მასში ქართველებიც მონაწილეობდნენ. 1927 წელს, როცა საბჭოთა ხელისუფლებამ მისი დაკეტვის ბრძანება გასცა, სინაგოგის დასაცავად ოცდაათამდე ქალი ბავშვებთან ერთად შენობაში ჩაიკეტა. მათ შორის იყვნენ ქართველები, ებრაელები – ქრისტიანები და იუდეველები. ისინი ერთად აპროტესტებდნენ სამლოცველოს განადგურების მცდელობას და ორი ერის სოლიდარობამ შედეგი გამოიღო<sup>7</sup> – მათ იხსნეს შენობა დანგრევისაგან. დღეს ეს სინაგოგა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია. (დანართი 2)<sup>8</sup>

ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი მემკვიდრეობაა ქართველი ებრაელების მიერ შემონახული უნიკალური ძეგლი – ტყავზე დაწერილი, მსოფლიოს ერთ-ერთ უძველეს ხელნაწერად აღიარებული თორა, რომელიც „ლაილაშის ბიბლიის“ სახელითაა ცნობილი. XII საუკუნეში (1131 წ.) სალონიკში მაღალმხატვრულად შესრულებული ეს უნიკალური ძეგლი XX საუკუნის 40-იან წლებში აღმოაჩინეს ლეჩხუმის სოფელ ლაილაშის სინაგოგაში, სადაც საუკუნეების განმავლობაში ინახებოდა. 1957 წლიდან „ლაილაშის ბიბლია“ ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში არის დაცული. (დანართი 3) მას სვანურ ბიბლიასაც უწოდებენ და უამრავ ლეგენდას უკავშირებენ, როგორც ქრისტიანები ისე

<sup>6</sup> დავიწყებული ისტორიები: კათოლიკური და ებრაელი თემები ქუთაისში. გვ.64

<sup>7</sup> დავიწყებული ისტორიები: კათოლიკური და ებრაელი თემები ქუთაისში. გვ.63

<sup>8</sup> ეთნოსები საქართველოში. გვ. 77-89

იუდეველები (სასწაულთმოქმედი იყო ორივე რელიგიის კუთვნილების წარმოადგენლებისათვის). სოფელი ლაილაში მრავალმხრივ გამორჩეულია. აქ დღემდე შემორჩენილია ეს სინაგოგა და ებრაელთა სასაფლაო, ხოლო 2003 წელს სოფლის ცენტრში დადგეს ობელისკი, რომელზეც ვკითხულობთ: „ლაილაში, ქართველთა, ებრაელთა, სომეხთა და ბერძენთა თანამეგობრობის კერა“.

#### **(დანართი 4)**

ასევე ძალიან მნიშვნელოვანი მემკვიდრეობაა ჩვენთვის ბრეთის ანუ ავალიანთ (ავალიშვილების) ბიბლია, რომელიც დაწერილია ქალაქ სალონიკში 1513 წელს სულთან სელიმ I-ის მეფობის დროს იეჰუდა გედალიას ოჯახში, ვინმე ყარიელის მიერ. XVIII საუკუნიდან „ბრეთის ბიბლიის“ სასწაულთმოქმედებაზე მრავალი გადმოცემა თუ ლეგენდა არსებობს, დროთა განმავლობაში მას მთელი საქართველოს ებრაელები სცემდნენ თაყვანს. იუდა ჩორნის (1835-1880) გადმოცემით, მასთან ებრაელების გარდა ქართველებსაც მიჰქონდათ შესაწირი და განკურნებას ევედრებოდნენ, მას ყმათა დასაფიცებელი საკულტო ფუნქციაც ჰქონია – ვინც ამ ბიბლიაზე დაიფიცებოდა, მის ფიცს წყალი არ გაუვიდოდა. შუა საუკუნეების ბიბლია ხელით იყო შესრულებული, შემდეგ დაიკარგა და XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან მის ფუნქციას ნაბეჭდი ბიბლია ასრულებდა, იგი ინახებოდა ამავე სოფელში მდებარე სინაგოგაში. 1856-1870 წლებში ბრეთიდან ებრაელები სურამში გადაასახლეს და სწორედ ამ პერიოდში უკვე ნაბეჭდი ბიბლია ავალიშვილებისგან დავალიშვილებმა იყიდეს.

## კათოლიკე თემი

რომის კათოლიკურ ეკლესიას საუკუნეების მანძილზე მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა საქართველოსთან. ქართულმა კათოლიკე თემმა საკმაოდ დიდი წვლილი შეიტანა ქართული სახელმწიფოს განვითარებაში. დღეს კათოლიკე თემი საქართველოში, უკანასკნელი მონაცემებით (2004 წლის გამოკითხვა, საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე, ოკუპირებული ტერიტორიების გამოკლებით),<sup>9</sup> 34 727 ადამიანისაგან შედგება და ისინი კვლავ აქტიურად არიან ჩართული ქართული სახელმწიფოს განვითარებაში.

დიდი სქიზმის შემდეგ (1054 წელი), როდესაც მოხდა აღმოსავლური და დასავლური ეკლესიების გაყოფა, მიუხედავად საქართველოს აღმოსავლური ეკლესიის ტრადიციაში დარჩენისა, ქართველებს არ შეუწყვეტიათ კონტაქტი დასავლურ ანუ რომის კათოლიკე ეკლესიასთან. ამას მოწმობს რუსუდან მეფის და რომის პაპ გრიგოლ IX-ის მიმოწერა, რომელმაც შემდგომში საქართველოში ფრანცისკანელი მოძღვრებიც გამოაგზავნა. ამ პირველი მისიის შემდეგ კათოლიკე მისიონერები კიდევ არაერთხელ ჩამოვიდნენ საქართველოში. მათმა მოღვაწეობამ ჩვენს ქვეყანას ერთობ სასიკეთო კვალი დაამჩნია, განსაკუთრებით, იმ მძიმე ისტორიულ მომენტში, როდესაც კონსტანტინოპოლის დაცემის შემდეგ საქართველო მტრულ არეალში მოექცა და ფაქტიურად ევროპას მოსწყდა. ამ გარემოებამ გავლენა იქონია როგორც ქვეყნის ერთიანობაზე (საქართველო დაიშალა სამეფო-სამთავროებად), ისე საგანმანათლებლო და კულტურულ სფეროებზეც. მისიონერები თავის წერილებში აღნიშნავენ, რომ დასავლეთ საქართველოში დიდმა უმეტესობამ წერა-კითხვაც არ იცოდა, რომ წერა-კითხვის მცოდნე უმეტესად ქალები ყოფილან.<sup>10</sup> ამგვარი იზოლაციის პირობებში კათოლიკე მისიონერები აღმოჩნდნენ ერთგვარი სარკმელი

---

<sup>9</sup> რელიგიები საქართველოში, რედაქტორი: ზურაბ კიკნაძე, გამოსაცემად მომზადებულია საქართველოს სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრის მიერ, თბილისი. 2008 გვ.63.

<sup>10</sup> კათოლიკური მემკვიდრეობა საქართველოში. პირველი საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალები. რედ. მერაბ ლაღანიძე. თბილისი. 2018. სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის გამომცემლობა. გვ. 86.

ევროპისკენ. მათ შემოიტანეს ევროპული განათლების ელემენტები საქართველოში. ისინი ასწავლიდნენ სხვადასხვა ევროპულ ენასს, წახალისებდნენ ვაჭრობის, ხელოსნობის და მედიცინის განვითარებას. რთული პოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე საგანმანათლებლო დაწესებულებები ძალიან მცირე იყო საქართველოს ტერიტორიაზე და განათლებას, ძირითადად, ეკლესია-მონასტრებთან არსებულ სკოლებში ან ოჯახებში იღებდნენ. კათოლიკე მისიონერების ღვაწლი ამიტომ ერთიორად დასაფასებელია. მათ დააარსეს სკოლები საქართველოს სხვადასხვა ქალაქსა და სოფელში, სადაც ასწავლიდნენ ღვთისმეტყველებას, მათემატიკას, ისტორიას, ქართულ, იტალიურ და ლათინურ ენებს, მხატვრობას, ასევე ოქრომჭედლობას და დურგლობას. სწავლის შემდგომ საფეხურზე წარმატებულ მოსწავლეებს აგზავნიდნენ ევროპაში სასწავლებლად, ცნობილია რომ 1633-1753 წლებში რომში განათლება ოცდაშვიდმა ქართველმა მიიღო. ევროპაში განათლებამიღებული ადამიანები საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ აარსებდნენ ახალ სასწავლო კერებს.

ჩვენამდე მოღწეული პირველი ქართული ლექსიკონისა და ქართული ენის გრამატიკის შედგენაც სწორედ კათოლიკე მისიონერების სახელს უკავშირდება. აღსანიშნავია ისიც, რომ პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნი *ქართულ-იტალიური ლექსიკონი* 1629 წელს რომში გამოიცა, ხოლო ფრანჩესკო მარია მაჯოს მიერ შედგენილი ქართული გრამატიკა, პირველია ევროპულ ენებზე დაწერილ ქართული ენის გრამატიკებს შორის. კათოლიკე მისიონერების მოღვაწეობას არამარტო საგანმანათლებლო დანიშნულება ჰქონდა, არამედ პოლიტიკურიც, რადგან მათი მეშვეობით ქართველი მეფეები და მთავრები უკავშირდებოდნენ ევროპულ მონარქებს და რომის პაპებს, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო იმ რეალობისთვის, როდესაც საქართველოს დიდი საფრთხე ემუქრებოდა ირანისგან და ოსმალეთის იმპერიისგან. კრისტოფერო დე კასტელმა, გაეტანო რასპონმა, პიეტრო დელა ვალემ და სხვა ბევრმა კათოლიკე მისიონერმა დაგვიტოვა უამრავი უნიკალური ეთნოგრაფიული თუ აღწერითი სახის წერილები, ჩანახატები და რელაციები გვიანი შუა საუკუნეების

საქართველოს შესახებ. სწორედ ეს ტექსტები წარმოადგენს ამ პერიოდის საქართველოს ისტორიის კვლევის ერთ-ერთი ძირითად წყაროს (დანართი 5-6).

ქართველმა კათოლიკეებმა დიდი როლი შეასრულეს უცხოეთში ქართული კულტურული კერების შექმნაში. 1859 წელს პირველი ასეთი კერა შეიქმნა სტამბოლის გარეუბან ფრეიკ-ვეიში, სადაც პეტრე ხარისჭირაშვილის თაოსნობით დაარსდა ღვთისმშობლის სახელობის ქართული საგანე, რომლის შესასვლელთან თაღზე ამოკვეთილი იყო წარწერა „წმინდაო მარიამ დაიცავ ივერიელნი“.<sup>11</sup> სტამბულში ამ ახალი ქართული კულტურული ცენტრის ერთ-ერთი მთავარი მიზანი იყო საგანმანათლებლო საქმიანობა. მალე აქ დაარსდა სკოლა, სადაც ისწავლებოდა ქართული ენის გრამატიკა, ქართული ლიტერატურა და ისტორია, მათემატიკა, ფიზიკა, ასტრონომია, სადურგლო საქმე და სხვა. ამგვარი საგანმანათლებლო საქმის გარდა ამ საგანეში დაარსდა სტამბულში პირველი ქართული სტამბა, სადაც ბევრი მნიშვნელოვანი წიგნი გამოიცა ქართულ ენაზე. გარდა საგანმანათლებლო საქმიანობისა, ეს ქართული კერა სტამბულში თავშესაფრად იქცა იმ უამრავი ქართველი ახალგაზრდისა და პოლიტიკური მოღვაწისათვის, რომლებიც რუსული ცარისტული რეჟიმის მიერ იდევენებოდნენ. სტამბულის შემდეგ 1875 წელს ახალი ქართული საგანე გაიხსნა საფრანგეთში, მონტობანში<sup>12</sup>. აქაც დაიწყო დიდი საგანმანათლებლო საქმიანობა და გაიხსნა სტამბა, რომელიც მოწოდებული იყო ქართული კულტურის პოპულარიზაციისთვის. წიგნების გარდა იბეჭდებოდა საქართველოს სხვადასხვა კუთხის სურათები და, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, აქ დაიბეჭდა ქართული საგალობლის პირველი ნოტები. კონსტანტინოპოლის და მონტობანის საგანეებმა დიდი წვლილი შეიტანეს უცხოეთში ქართული კულტურის პოპულარიზაციაში და, ზოგადად, ქართული კულტურის

---

<sup>11</sup> *კათოლიკური მემკვიდრეობა საქართველოში*. 1-ლი საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალები. რედ. მერაბ ღაღანიძე. თბილისი. 2018. სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის გამომცემლობა. გვ 163.

<sup>12</sup> იგივე. გვ. 165

განვითარებაში, რადგან იმ პერიოდის საქართველოში რუსიფიკაციის პოლიტიკა ტარდებოდა და ასეთი საქმიანობა თითქმის შეუძლებელი იყო.

ქართველ კათოლიკეებს ასევე დიდი წვლილი მიუძღვით ქართული ხელოვნების განვითარებაში, ამის თვალსაჩინო მაგალითია პეტრე ოცხელი და მისი შემოქმედება. პეტრე ოცხელი 30 წლის იყო, როცა კომუნისტურმა რეჟიმმა 1937 წელს კონტრევოლუციონერობის ბრალდებით დახვრიტა. მიუხედავად ხანმოკლე ცხოვრებისა, პეტრე ოცხელმა მოახერხა, თვალსაჩინო ადგილი დაემკვიდრებინა ქართული ხელოვნების ისტორიაში. პეტრე ოცხელი მუშაობდა კოტე მარჯანიშვილთან თეატრში და მისი მრავალი სპექტაკლი გააფორმა მხატვრულად. მის მიერ გაფორმებულ სპექტაკლებს უდიდესი წარმატება ხვდა წილად არა მარტო საქართველოში, არამედ უცხოურ თეატრებშიც. მისი გარდაცვალებიდან ორ წლის მერე, 1939 წელს ლონდონში, თეატრის მხატვართა გამოფენაზე, ოცხელის ესკიზებს დიდი წარმატება ხვდა წილად და ისინი ოქროს მედლით დააჯილდოვდა. პეტრე ოცხელმა მოახერხა XX საუკუნის ქართული მხატვრობის ინტეგრაცია დასავლურ ხელოვნებასთან, მაშინ როდესაც ამისთვის ყველა გზა დაკეტილი იყო. ქართველი ხელოვნებამცოდნე, სცენოგრაფის სპეციალისტი პროფესორ ქეთევან კინწურაშვილი პეტრე ოცხელის შესახებ ამბობს, „ეს მხატვარი არ ძველდება ... დრო გადის და ოცხელის შემოქმედება სულ უფრო და უფრო თანამედროვე ხდება“.<sup>13</sup> (დანართი 7)

ქართველ კათოლიკეთა შორის განსაკუთრებით გამოირჩევა მიხეილ თამარაშვილი მეცნიერი, საზოგადო მოღვაწე, თეოლოგიის დოქტორი და ქართული კათოლიკური ეკლესიის მღვდელმსახური. იგი დაუღალავად იბრძოდა ქართველთა ეროვნული თვითშეგნების გასაღრმავებლად და მსოფლიო საზოგადოებისთვის საქართველოს ისტორიის და კულტურის გასაცნობად. იგი დაიბადა ახალციხეში 1858 წელს. სასკოლო განათლებაც იქ მიიღო. შემდეგ პეტრე ხარისჭირაშვილის დახმარებით გაემგზავრა ჩვენ მიერ

---

<sup>13</sup> გოგი გვახარია, პეტრე ოცხელი - 100, რადიო თავისუფლება, 2007.  
[www.radiotavisupleba.ge/amp/1554306.html](http://www.radiotavisupleba.ge/amp/1554306.html) (წვდომის თარიღი: 01.09.2019)

უკვე ნახსენებ კონსტანტინოპოლის ქართველთა სავანეში, საიდანაც როგორც წარმატებული სტუდენტი სასწავლებლად ჯერ ესპანეთში და შემდეგ კი საფრანგეთში გააგზავნეს. სამშობლოში დაბრუნებული თბილისში ღვთისმშობლის მიძინების ტაძარში დანიშნეს მღვდელმსახურად. თითქმის ყოველი წირვის შემდეგ თავის ქადაგებებში იგი საუბრობდა საქართველოს ისტორიაზე და მის როლზე ქართველი ხალხის ცხოვრებაში, ეს ყველაფერი განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი იყო იმ პერიოდისთვის, რადგან რუსიფიკაციის პოლიტიკა მცირე ადგილსაც არ ტოვებდა რაიმე ქართულისთვის. ცარისტულმა მთავრობამ ვერ აიტანა მიხეილ თამარაშვილის ეს პროქართული ქადაგებები, მას მღვდელმსახურება აეკრძალა და თბილისიდან იქნა გაძევებული. დევნილი მღვდელმსახური რომში გაემგზავრა სასწავლებლად, სადაც თეოლოგიის დოქტორის ხარისხი დაიცვა და აქტიურად ჩაება სამეცნიერო მოღვაწეობაში. მან იცოდა ლათინური, იტალიური, ფრანგული, თურქული და სომხური ენები, რომელთა წყალობით მრავალენოვან სხვადასხვა ქვეყნის ისტორიულ არქივებთან ჰქონდა წვდომა და უამრავი იქამდე უცნობი ფაქტები აღმოაჩინა საქართველოს ისტორიის შესახებ. რაც მთავარია, ამ ყველაფერს ის ბეჭდავდა იტალიურ და ფრანგულ პერიოდიკაში. სწორედ მიხეილ თამარაშვილის ნაშრომებიდან გაიცნო ევროპის დიდმა ნაწილმა საქართველო და მისი ისტორია. მისი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაშრომი იყო „ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე“, რომელშიც დაწვრილებით იყო აღწერილი საქართველოს ისტორიის უამრავი მანამდე უცნობი მნიშვნელოვანი ფაქტი. წიგნს თან ახლდა 104 პორტრეტი, ქართულ ძეგლთა რეპროდუქციები, ორი გეოგრაფიული რუკა და მრავალი მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რომელებიც იქამდე არსად არ გამოქვეყნებულა და მიხეილ თამარაშვილმა აღმოაჩინა სხვადასხვა ქვეყნის სხვადასხვა არქივში. მიხეილ თამარაშვილმა მოახერხა და გააცნო მსოფლიოს ქართული ისტორია. იგი გარდაცვალების შემდეგ დაკრძალეს იტალიაში, თუმცა 1978 წელს გადმოასვენეს საქართველოში და როგორც გამოჩენილი ქართველი მოღვაწე დაკრძალეს დიდუბის პანთეონში.

ქართველ კათოლიკეთაგან ბევრი იყო ქველმოქმედი და მეცენატი, შორის იყვნენ ძმები ზუბალაშვილები (სტეფანე, ლევანი, იაკობი და პეტრე). (დანართი 8) ძმები ზუბალაშვილების სახელს უკავშირდება უამრავი შენობის თუ დაწესებულების აგება თბილისსა და საქართველოს სხვა ქალაქებში. მაგალითად, მათი დაფინანსებით აშენდა „სახალხო სახლი“ თბილისში, რომელიც დღეს მარჯანიშვილის თეატრის სახელითაა ცნობილი, ასევე თბილისის კონსერვატორია, სათავადაზნაურო გიმნაზია (დღევანდელი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი), ბათუმის ღვთისმშობლის სახელობის კათოლიკური ნეოგოთიკური ტაძარი, რომელიც უნიკალურია ქართულ რეალობაში. (დანართი 9) გარდა ამისა, მათ უდიდესი წვლილი შეიტანეს ქართული მეცნიერების და ხელოვნების განვითარებაში, რადგან მათი ფინანსური დახმარებით ათეულობით სტუდენტმა შეძლო უცხოეთში განათლება მიეღო. ამ სტუდენტებს შორის იყვნენ გამოჩენილი ქართველი მეცნიერები სარგის კაკაბაძე, ჩვენს მიერ უკვე ნახსენები მიხეილ თამარაშვილი, ასევე გამოჩენილი ქართველი მწერალი მიხეილ ჯავახიშვილი და მრავალი სხვა სტუდენტი. ცნობილია, რომ გამოჩენილმა ქართველმა კომპოზიტორმა ზაქარია ფალიაშვილმა როიალი სწორედ ძმები ზუბალაშვილების დახმარებით შეიძინა. ზუბალაშვილები ასევე აფინანსებდნენ ისეთ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან წამოწყებებს, როგორებიც იყო „ქართველთა შორის წერა კითხვის გამავრცელებელ საზოგადოება“ და „სათავადაზნაურო ბანკი“ მათი ხშირი დაფინანსებით არსებობდა საქართველოს იმდროინდელი პრესა, კერძოდ კ. გაზეთი „ივერია“ და „ჯეჯილი“. გამოჩენილი ქართველი პოლიტიკოსი და საზოგადო მოღვაწე ნიკო ნიკოლაძე მათზე ამბობდა, „საქართველოში ბევრია მდიდარი, მაგრამ ზუბალაშვილთა მსგავსი ქველმოქმედი არავინაა“.



## სომხური თემი

ქართველებისა და სომხებს მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობის ისტორია აკავშირებს, ხოლო მათი უშუალოდ საქართველოს ტერიტორიაზე განსახლება II საუკუნიდან იწყება და შემდგომში უფრო ინტენსიურ ხასიათს იღებს: ჯერ კიდევ დავით აღმაშენებელმა ჩამოასახლა ქ. გორში სომხები, რომლებმაც ძალიან დიდი წვლილი შეიტანეს საქალაქო ცხოვრების გამოცოცხლებაში. გვიან შუა საუკუნეებში კი რელიგიური შევიწროების გამო ბევრმა მათგანმა დატოვა სამშობლო და საქართველოში ჩამოვიდა საცხოვრებლად. ამის მაგალითია XV საუკუნის პირველ ნახევარში ლორეს მმართველის - პეგინ ორბელიანის მიერ ოსმალეთიდან დევნილი სომხების შეფარების მაგალითი. ქართველი მეფეები არათუ უპირისპირდებოდნენ სომეხ მიგრანტებს, არამედ პირიქით – ქმნიდნენ პირობებს ქართველი და სომეხი მოსახლეობის მშვიდობიანი და მეგობრული თანაცხოვრებისათვის: ერეკლე II და გიორგი XII მათთვის შეღავათებს აწესებდნენ. 1780 წელს ერევნიდან და 1787 წელს ყარაბაგიდან ერეკლე მეორემ 7000 სომეხი მოიწვია საქართველოში და, ძირითადად, მსხვილ ქალაქებში ჩაასახლა, რადგან მათგან ვაჭრობა-ხელოსნობის განვითარებას მოელოდა. XIX საუკუნის 20-იანი წლების ბოლოს ირანიდან და თურქეთიდან მრავალრიცხოვანი სომხური მიგრაცია წამოვიდა, რუსეთ-თურქეთის ომის დროს მიგრაცია კიდევ უფრო ინტენსიური გახდა. 2014 წლის აღწერის მონაცემების მიხედვით, სომხები საქართველოს მოსახლეობის 4.5% შეადგენდნენ, სხვადასხვა ოდენობით ცხოვრობენ ქვეყნის რეგიონებსა და ქალაქებში: ძირითადად სამცხე-ჯავახეთში, თბილისში, ქვემო ქართლში, აჭარასა და აფხაზეთში.<sup>14</sup>

XIX საუკუნეში, თბილისელი სომხების ძირითადი საქმიანობა იყო ვაჭრობა, მეწარმეობა, ხელოსნობა და სხვა. მაგრამ დროთა განმავლობაში ბევრმა მათგანმა ევროპაში განათლება მიიღო, იქიდან დაბრუნებულებმა მრავალი სასიკეთო ცვლილება შეიტანეს ქალაქის ცხოვრებაში: დღესაც თბილისში ძალიან ბევრი

---

<sup>14</sup> ეთნოსები საქართველოში. გვ. 89

შენობაა, რომლის ისტორიაც თბილისელ სომეხებს უკავშირდება. მათ ნამდვილად ისე, უყვარდათ ეს ქალაქი, როგორც საკუთარი და თვითაღქმაც სწორედ ასეთივე ჰქონდათ.

განსაკუთრებული პატივისცემით უნდა აღვნიშნოთ ეროვნებით სომეხი პოეტი, მომღერალი და კომპოზიტორი - საიათნოვა (არუთიუნ საიათიანი). მისი მოღვაწეობა მაგალითია ქართული და სომხური კულტურების ჰარმონიული შერწყმისა. მის შემოქმედებას სამ ენაზე შეგვიძლია გავეცნოთ: ქართულად, სომხურად და თურქულად. ეს ჰარმონიული შერწყმა კარგად ჩანს სომხური პოემის მაგალითზე, სადაც ავტორს გამოყენებული აქვს სომხური და ქართული ანბანის ელემენტები. იშვიათია, ადამიანს ასეთი ძლიერი სიყვარული ჰქონდეს ერთდროულად რამდენიმე ენის მიმართ. საიათნოვა 1712 წელს დაიბადა თბილისში, დედა თბილისელი ჰყავდა, ხოლო მამა წარმოშობით ალექსოპოლისი იყო. საიათნოვა ერეკლე II-ის კარზე მოღვაწეობდა და თავი გამოიჩინა თავისი დიპლომატიური საქმიანობით: საქართველოს, სომხეთისა და შირვანის გაერთიანება სპარსეთის იმპერიის წინააღმდეგ სწორედ მისი ჩართულობის დამსახურება იყო. საიათნოვა გარდაიცვალა 1795 წელს ალა-მაჰმად ხანის შემოსევის დროს, დაკრძალულია თბილისის სუფგევორქის ეკლესიაში. 2014 წელს რუსთაველის თეატრში გაიმართა ღონისძიება, რომელიც საიათნოვას 300 წლის იუბილეს ეძღვნებოდა. ღონისძიებას ესწრებოდა, როგორც მასპინძელი ჩვენი დელეგაცია პრეზიდენტი მარგველაშვილის ხელმძღვანელობით, ასევე სომხეთის პრეზიდენტი სერჟ სარგსიანი. საიათნოვამ თავის შემოქმედებაში ქართული და სომხური კულტურების შესანიშნავი სინთეზი შექმნა და დაგვიტოვა ძალიან მდიდარი მემკვიდრეობა, რომელიც თანაბრად ღირებულია პოეტის ორივე სამშობლოსათვის. <sup>15</sup>(დანართი 10)

ასევე ცნობილი სომეხი მოღვაწე გახლავთ ჰოვანეს თუმანიანი, რომელიც გამორჩეოდა თავისი მრავალმხრივი შემოქმედებით: წერდა ლექსებს, პოემებს, მოთხრობებს, ზღაპრებს, იგავებს, ბალადებს. დაიბადა 1869 წელს ლორეს

---

<sup>15</sup> მრავალეთნიკური და მრავალკულტურული საქართველო. გვ. 169.

მაზრაში, სოფელში დაწყებითი განათლების მიღების შემდეგ თბილისის ნერსესის სემინარიაში განაგრძო სწავლა. სამწერლო ასპარეზზე 1886 წელს გამოჩნდა. მისი პირველი ნაწარმოებებია: „მალღი და კატა“ და „უიღბლო ვაჭრები“. შემდგომ შექმნა არაერთი საგმირო პოემა. ჰოვანეს თუმანიანი გამოდიოდა ქართველი და სომეხი ერის მეგობრობის დამცველად. ამ თემას ეძღვნება ლექსები: „შერიგება“, „საქართველოს შესახებ“, „საქართველოს სული“, „საქართველოს პოეტებს“ და სხვა. ტიციან ტაბიძე მის შესახებ წერდა: „პირველი ადამიანი, რომელსაც ყველაზე უფრო აწვალებდა ფიქრი სომხეთისა და ქართველების ძმობაზე, იყო ოვანეს თუმანიანი“.<sup>16</sup> (დანართი 11)

საქართველო და, განსაკუთრებით, თბილისი სომხური და ქართული კულტურების თანხვედრის ადგილია. საქართველოს სომხური მოსახლეობა მნიშვნელოვან როლს ასრულებდა საქალაქო ცხოვრების გამრავალფეროვნებაში, ბევრი მათგანი ღირსეული და სახელგანთქმული მოღვაწე გახლდათ. ერთი ასეთი მოღვაწეა ნიკოლოზ ბოზარჯიანცი, თამბაქოს მწარმოებელი თბილისში, რომელსაც ჰოვანეს თუმანიანმა „დიდი თბილისელი“ უწოდა. მართლაც გამორჩეული პიროვნება იყო: მის მიერ დატოვებული მატერიალური მემკვიდრეობა დღემდე აოცებს თბილისის ქუჩებში მოასიარულე ადამიანებს. ბოზარჯიანცმა 1858 წელს გახსნა თამბაქოს საწარმო, რომელიც მალევე გახდა სააქციო საზოგადოება - „ბოზარჯიანცი და შვილები“. ის იყო პირველი თბილისელი, რომელსაც სპეციალურად პარიზიდან გამოწერილი ავტომობილი ჰყავდა ქალაქში, ხოლო, მის მიერ, „არ-ნუვოს“ სტილში აშენებული საცხოვრებელი სახლი სოლოლაკში, ჩვენი ქალაქის ერთ-ერთი გამორჩეული შენობაა, რომელიც დღემდე დამთვალიერებლის განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს. სხვათა შორის, ამ სახლში ერთ ხანს ცხოვრობდა ლავრენტი ბერიაც. ალბათ საინტერესოა იმის გახსენებაც, რომ 1898 წელს იოსებ სტალინი სწორედ ბოზარჯიანცის თამბაქოს საწარმოში ხელმძღვანელობდა სოციალ-დემოკრატიულ წრეს. (დანართი 12)

---

<sup>16</sup> მრავალეთნიკური და მრავალკულტურული საქართველო. გვ. 171.

ჩვენს ქალაქში საუკუნეზე მეტია არსებობს თბილისის სომხური დრამატული თეატრი. წარმოდგენები აქ 1858 წლიდან იმართება. ეს თეატრი ერთადერთია, რომელიც სომხეთის ფარგლებს გარეთ სახელმწიფო თეატრის სტატუსით ფუნქციობს. თეატრთან აქტიურად თანამშრომლობენ ქართველი რეჟისორებიც, რაც კიდევ კიდევ ერთი მაგალითია იმისა, რომ ქართველებსა და სომხებს სხვადასხვა სფეროში და სხვადასხვა მოცემულობაში ურთიერთობის შესანიშნავი გამოცდილება აქვთ.

ძალიან მრავალფეროვანია ის მატერიალურ-კულტურული ძეგლები, რომელთა აშენებაც დაკავშირებულია თბილისელი სომხების სახელთან, მათ შორის არის რამდენიმე ტაძარი, რომელთა კუთვნილების საკითხი ბოლო წლების განმავლობაში მწვავე დავის საგნად იქცა. სავალალო აქ ისაა, რომ დაუსრულებელი დავის პროცესში ეს ძეგლები ნადგურდება. სწორედ ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ საერთო მემკვიდრეობის რელიგიურ-კულტურულ ძეგლებზე ვიზრუნოთ და განადგურებისგან ვიხსნათ. მაგალითად, სასწრაფოდ საჭიროებს ყურადღებას თბილისში, გუდიაშვილის მოედნის მიმდებარედ მდგარი მოდნისის წმინდა გიორგის ტაძარი, რომლის გუმბათიც ჩამოქცეულია.<sup>17</sup> (დანართი)

---

<sup>17</sup> ძალიან საინტერესო იქნება მოსწავლეებისათვის თემის განხილვის პროცესში თომა ჩაგელიშვილის ფილმის „მესხები“- ჩვენება.

## მუსლიმი თემი

ისლამის პირველი გამოჩენა საქართველოში უკავშირდება არაბთა პირველ შემოსვლას, როდესაც ჰაჰიბნი იბნი მასლამას მეთაურობით არაბებმა ილაშქრეს ქართლში, თუმცა ამ ლაშქრობის დროს ქართველებსა და არაბებს შორის ბრძოლა არ გამართულა, რადგან ქართლის ერისმთავარმა სტეფანოზმა ზავის დადება გადაწყვიტა და ხარკი იკისრა. არაბებიც შემწყნარებლები იყვნენ ქრისტიანების მიმართ და ამ პერიოდში ქრისტიანთა დევნა არ ყოფილა, ყველას შეეძლო საკუთარი რელიგიის არჩევა, როგორც ეს ქალაქ მედინაში ხდებოდა მუჰამედის მმართველობის დროს. რამდენიმე საუკუნის შემდეგ ვითარება შეიცვალა. მას შემდეგ, რაც ისლამი გახდა არაბთა ახალი იმპერიის სახელწიფო რელიგია, იგი გადაიქცა პოლიტიკურ იარაღად. ქრისტიანულ ქვეყნებში ისლამის გავრცელება არაბთა პოლიტიკურ მიზნად იქცა.

ისლამი და ისლამური კულტურა დიდ გავლენას ახდენდა საქართველოზე. გარდა იმისა, რომ საქართველოში ბევრი მუსლიმი ცხოვრობდა, მეზობლებადაც ქვეყანას ისლამური სახელმწიფოები ჰყავდა. ისლამური კულტურის გავლენა დიდი იყო. საქართველოს ისტორიის ოქროს ხანაში ქართველები თარგმნიან ისლამური მწერლობის არაერთ პირველხარისხოვან ძეგლს. საინტერესოა, რომ *ვეფხისტყაოსანში* პოემის მთავარი სიუჟეტური ხაზი სწორედ მუსლიმურ ქვეყანაში – არაბეთში ვითარდება, ხოლო მთლიანად პოემაში ძალიან ბევრგან გვხვდება არაბული თუ სპარსული ანალოგიები.

გამორჩეული ქართველი მუსლიმი ისტორიკოსი იყო ფარსადან გორგიჯანიძე, რომელიც ქართლის მეფის როსტომ ხანის კარზე გაიზარდა. როსტომს მისი გამჭრიახობა თავიდანვე ძალიან მოსწონდა. სწორედ მან გაუშვა ფარსადანი რამდენიმეჯერ ირანში თავის წარმოადგენლად, ამის შემდეგ როსტომის რეკომენდაციით შაჰ სეფიმ ფარსადანი ისპაჰანის ტარულად (მოურავად) დანიშნა. ფარსადან გორგიჯანიძე ორმოცი წელი ცხოვრობდა ირანში და სხვა თანამდებობებსაც იკავებდა, თუმცა აღსანიშნავია ის ფაქტი რომ ამ ორმოცი წლის განმავლობაში მისი მთავარი ნაშრომები ყოველთვის საქართველოს

ეხებოდა. გორგიჯანიძის ყველაზე ცნობილი ნაწარმოებია “საქართველოს ისტორია” რომელიც მოგვითხრობს საქართველოს მთელი შუა საუკუნეების პერიოდს გაქრისტიანებიდან მე-17 საუკუნემდე, ანუ იმ ეპოქამდე რომელშიც თავად ფარსადანი ცხოვრობდა. მისი ეს ნაშრომი, განსაკუთრებით კი ბოლო ნაწილი, სადაც იგი აღწერს XIV-XVII საუკუნის მოვლენებს ძალიან მნიშვნელოვანია ქართული ისტორიოგრაფიისთვის, რადგან ეს არის პირველი მცდელობა ამ ეპოქის საქართველოს ისტორიის აღწერისა. ნაშრომის განსაკუთრებული ღირსება კიდევ ის არის, რომ ავტორი, გარდა ქართული წყაროებისა, იყენებს სპარსულ და არაბულ წყაროებსაც. ის, რომ ავტორი თავად არის თვითმხილველი, მომსწრე და მოწმე XVII საუკუნის მოვლენებისა, რაც საქართველოს ისტორიის ამ წყაროს სანდოობას კიდევ უფრო ამყარებს.

კიდევ ერთი გამორჩეული ქართველი მუსლიმი იყო ფარი ხანუმ სოფიევა. (დანართი 13) იგი იყო პირველი მუსლიმი ქალი მსოფლიოში, რომელიც დემოკრატიული არჩევნების შედეგად აირჩიეს საქართველოში, კერძოდ, ყარაიაზის (ყარაჯალის) ოლქში. 1918 წლის შემოდგომაზე ქართული პრესა სიამაყით წერდა: “...აღსანიშნავია ერთი ფრიად სამხიარულო მოვლენა; ხმოსანთა რიცხვში შედის ყარაიაზის ოლქიდან წამოყენებული მუსულმანელი ქალი, პარი-ხანუმ სოფიევი. პირველი საეროზო ყრილობა დაინიშნა 2 დეკემბერს...”.<sup>18</sup> ამ პერიოდში ქალს საკმაოდ დიდი ნდობა და ავტორიტეტი უნდა ჰქონოდა რაიონში, რომ უმრავლესობას იგი აერჩია, ფარი ხანუმი კი სწორედ ასეთი იყო. ყარაჯალაში დღესაც ახსოვთ მისი სახელი და მისი საქმიანობა. ფარი ხანუმი, როგორც უფროსი თაობის ყარაჯალელები იხსენებენ, მუდამ ეხმარებოდა ახალ დაქორწინებულ წყვილებს და ქვრივ ობლებს. მისი ინიციატივით ყარაჯალაში დაიწყო დიდი სამეურნეო საქმიანობა, რომლის დასაფინანსებლადაც მან კრედიტი სახელმწიფოსგან აიღო. ფარი ხანუმის სახელს მიეწერება ყარაჯალის რკინიგზის სადგურის მოწყობა. 1921 წლის ბოლშევიკური ოკუპაციის შემდეგ ფარი ხანუმს ქონება ჩამოართვეს, მისი

---

<sup>18</sup> ირაკლი ხვადაგიაძე, *ყარაიაზის მატრიარქი - ფარი-ხანუმ სოფიევა*, საზოგადოებრივი არქივი, SOVLAB. 2017. <http://archive.ge/ka/blog/9> (წვდომის თარიღი: 02.09.2019)

ოჯახის წევრები გააკულაკეს, 1937 წლის რეპრესიების დროს კი მისი სამი ძმა დახვრიტე. ამის შემდეგ მისი მთავარი საზრუნავი ობლად დარჩენილი ძმიშვილები იყვნენ, თუმცა ერთ-ერთი მათგანის დაპატიმრების შემდეგ ფარი ხანუმი გულის შეტევით გარდაიცვალა.

ფარი ხანუმი იყო თავის პერიოდის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ქალი, რომელიც როგორც საქართველოს, ისე მსოფლიოს ისტორიაში ჩაიწერა როგორც პირველი მუსლიმი ქალი, რომელიც დემოკრატიული წესით აირჩიეს. (დანართი 14)

ის, რომ აჭარა საქართველოს ნაწილია, ამაში დიდი დამსახურება აქვს გამორჩეულ ქართველ მუსლიმს მემედ აბაშიძეს, რომელიც იყო საზოგადო მოღვაწე, მწერალი, მთარგმნელი და პუბლიცისტი. (დანართი 15) მემედ აბაშიძეს სამი სხვადასხვა დამპყრობელი მთავრობა ებრძოდა, რადგან იგი მუდამ მუშაობდა ქართველ მუსლიმთა შორის ქართული თვითშეგნების ამაღლებაზე, აქვეყნებდა პუბლიცისტურ წერილებს სხვადასხვა ქართულ გაზეთსა და ჟურნალში, ამის გამო იგი რამდენიმეჯერ დააპატიმრა ცარისტულმა ხელისუფლებამ. მას მერე, რაც 1918 წელს თურქები შემოვიდნენ აჭარაში, იგი აქტიურად უპირისპირდებოდა თურქებს და ერთიანი საქართველოსთვის იბრძოდა. ამის გამო იგი დააპატიმრეს და თურქეთში ტრაპზონის ციხეში ჩასვეს, იქიდან მალევე გაიქცა და სათავეში ჩაუდგა “სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელ კომიტეტს”, რომლის მიზანიც იყო თურქების მიერ დაკავებული აჭარის კვლავ საქართველოსთვის შემოერთება, ამ ორგანიზაციაში ირიცხებოდნენ სხვა ქართველი მუსლიმებიც, რომლებიც აჭარიდან გამოიქცნენ თბილისში და აქედან ხელმძღვანელობდნენ აჭარის განმათავისუფლებელ მოძრაობას. მას შემდეგ, რაც აჭარა ოსმალებისგან განთავისუფლდა და ბრიტანელების მმართველობაში გადავიდა, კომიტეტი ბათუმში დაბრუნდა, სადაც 1919 წელს აგვისტოში ბათუმში სამუსლიმო საქართველოს საბჭო აირჩიეს, ამ საბჭოს თავმჯდომარე კი გახდა მემედ აბაშიძე. მემედ აბაშიძე, გარდა საზოგადოებრივი მოღვაწეობისა და პუბლიცისტიკისა, წერდა ლექსებს, იცოდა

არაბული, თურქული და სპარსული ენები, ქართულად თარგმნა ომარ ხაიამის და ნამიქ ქემალის ლექსები, ასევე დაიწყო *ვეფხისტყაოსნის* თურქულ ენაზე თარგმნა, თუმცა არ დასცალდა და როგორც უამრავი გამორჩეული ქართველი მოღვაწე ისიც 1937 წლის კომუნისტურ რეპრესიებს ემსხვერპლა. მემედ აბაშიძის ღვაწლი ქართული სახელმწიფოს წინაშე უდიდესია, რადგან იგი დაუღალავად ეწეოდა მუსლიმ აჭარელ ქართველებში ქართული თვითშეგნების დამკვიდრებას. მთლიანი საქართველო მისი საფიცარი იყო. ერთ-ერთ ოფიციალურ სხდომაზე განაცხადა: „ნურავინ იფიქრებს, რომ სარწმუნოება და ეროვნება ერთი და იგივეა! გახსოვდეთ, რომ ჩვენი ხსნა, ჩვენი ბედნიერება საქართველოს ერთიანობაშია. გაუმარჯოს მთლიან საქართველოს!“<sup>19</sup>. იგი ებრძოდა ყველა დამპყრობელ ხელისუფლებას, რომელიც ამ დებულებას ეჭქვეშ დააყენებდა, ამიტომ მას დევნიდა როგორც ცარისტული რუსეთი, ისე ოსმალეთის იმპერია და საბჭოთა ხელისუფლება. მემედ აბაშიძე არის ადამიანი, ურომლისოდაც აჭარა საქართველოს შემადგენლობაში სრულფასოვნად ალბათ ვერასოდეს დაბრუნდებოდა.

ქართული და ისლამური კულტურის გადაკვეთის წერტილები ყველაზე კარგად ჩანს ალბათ სწორედ აჭარაში, რადგან საქართველოს ეს მხარე საქართველოს სამეფო სამთავროებად დაშლის შემდეგ ოსმალეთის იმპერიის გავლენის ქვეშ მოექცა და ისლამმა და ისლამურმა კულტურამ აქ დიდი გავრცელება პოვა, თუმცა შენარჩუნდა ქართული კულტურის მნიშვნელოვანი ელემენტები. ამ კულტურული გადაკვეთის შედეგია უნიკალური აჭარული ხის მეჩეთები, რომლებიც გამოირჩევა როგორც განსხვავებული საშენი მასალით (ხისგანაა ნაშენი), ასევე განსხვავებული ორნამენტებით და, რაც მთავარია, იმეორებს ქართული არქიტექტურის, კერძოდ, აჭარული საცხოვრებელი სახლის სტილს. აჭარის ხის მეჩეთებისგან ყველაზე გამორჩეულია ალბათ ღორჯომის მეჩეთი (ხულოს რაიონი), რომელიც ყველაზე დიდი ხის მეჩეთია საქართველოში.

---

<sup>19</sup> ნუგზარ პაკუაშვილი, *სადღეისო პრობლემებიდან: ისლამი და საქართველო*, სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრი, <http://www.tolerantoba.ge/index.php?id=1281619861&kat=323> (წვდომის თარიღი: 01.09.2019)



(დანართი 16) მას აქვს ხუთი გუმბათი, ინტერიერი მოხატულია უნიკალური ორნამენტებით, რაც საბჭოთა ეპოქაში დაზიანდა, თუმცა ლაზმა ოსტატებმა ომერ უსტასმა და უსტა ბინ აჰმედმა, იგი ხელმეორედ მოხატეს და შეეცადნენ ღორჯომის ფერადოვანი მეჩეთისთვის პირვანდელი სახე დაებრუნებინათ. აჭარული ხის მეჩეთები ქართული ისლამური ხუროთმოძღვრების გასაოცარი ძეგლებია, რომელსაც აუცილებლად სჭირდება მოვლა, რადგან ეს არის სრულიად საქართველოს უნიკალური კულტურული მემკვიდრეობა.

## დამხმარე რესურსები

### სასწავლო აქტივობები

აქტივობები/სავარჯიშოები/პროექტები ქართულ კულტურაში სხვადასხვა რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების წვლილის შესახებ შესაძლებელია ჩატარდეს როგორც განყენებულად, ისე სასწავლო პროგრამის შესაბამის ნაწილებთან ინტეგრირებულად.

### ზოგადი აქტივობები

- დაავალეთ მოსწავლეებს, დაიყონ პატარა, ოთხ-ხუთ მონაწილიან ჯგუფებად და მოამზადონ შემდეგი სახის პროექტი: იმ სოფელში/ქალაქში/რაიონში/რეგიონში, სადაც თქვენი სკოლა მდებარეობს, მოიძიონ რელიგიური/კულტურული ძეგლი, რომელიც ეთნიკური/რელიგიური უმცირესობების მიერ არის დაარსებული/აშენებული და მოამზადონ მის შესახებ მულტიმედია პრეზენტაცია (სლაიდებით, ფოტოებით, ვიდეოთი) თანაკლასელებისთვის.
- დაგეგმეთ შემეცნებითი ექსკურსია ერთ-ერთ ასეთ ადგილას. ექსკურსიამდე მოამზადეთ მასალა ძეგლის შესახებ.
- მოამზადეთ მოკლე ქვიზი/ბლიც-კითხვარი საქართველოში ზოგადად ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების შესახებ და ჩაატარეთ კლასში. კითხვები შეიძლება შეეხებოდეს საქართველოს მოსახლეობის ეთნიკურ შემადგენლობას (გამოიცანით, რამდენია საქართველოში სომხურენოვანი მოსახლეობა?), ან კულტურის ძეგლებს (რამდენი სინაგოგაა საქართველოში? სად?). კითხვები შეიძლება იყოს ღია ან სავარაუდო პასუხებით (მაგალითად, სამი პატარა ქალაქი, სადაც სინაგოგა არ არის და ონი). ამ კითხვარს შეიძლება მოჰყვებოდეს საგანმანათლებლო მასალა, რომელსაც მოსწავლეები შემდგომ გაეცნობიან. მაგალითად, როგორ მოხდა, რომ ონში არის სინაგოგა.

მსგავსი ბლიც-კითხვარის შედგენა შეიძლება სხვადასხვა რელიგიურ თემაზე.

#### სომხური თემა

- თბილისში ბევრი ცნობილი შენობა სომეხი მეცენატების, ვაჭრების და ა.შ. მიერ არის აგებული. გააკეთეთ ამ და სხვა შენობების ფოტოების კოლაჟი და გაკვეთილზე სთხოვეთ მოსწავლეებს, ამოიცნონ, თუ ამ შენობებიდან რომელი და რამდენი არის სომეხების მიერ აშენებული. ეს აქტივობა დაეხმარებათ მოსწავლეებს, შეიმეცნონ, თუ რამხელა წვლილი მიუძღვის სომეხ თემს დედაქალაქის ძველი ნაწილის ამჟამინდელი სახით არსებობაში.

#### კათოლიკე თემა

- მოამზადეთ პეტრე ოცხელის ნამუშევრების ნაკრები და გაკვეთილზე აჩვენეთ მოსწავლეებს (თუ შესაძლებელია, პროექტორით). სთხოვეთ, დაასახელონ, რომელი ნამუშევარი მოსწონთ ყველაზე მეტად და რატომ.

#### მუსლიმი თემა

- გაკვეთილზე ჰკითხეთ მოსწავლეებს, ვინ არის მათთვის ყველაზე კარგად ცნობილი მუსლიმი ქართველი? რა შეუძლიათ უთხრან მის შესახებ თანაკლასელებს. თუ არავინ არ ახსენა, თქვენ მოუყევით ფარი ხანუმ სოფიევასა და მემედ აბაშიძის შესახებ. ჰკითხეთ, როგორ ფიქრობენ, რატომ იყო მათი მოღვაწეობა მნიშვნელოვანი.

#### ებრაეული თემა

- მოსწავლეებს სთხოვეთ, მცირე ჯგუფებად დაიყონ და მოიძიონ ინფორმაცია საქართველოში არსებულ სინაგოგებზე და ებრაეული კულტურის სხვა ძეგლებზე (ძალიან ინფორმაციული იქნება დავით

ბააზოვის სახელობის საქართველოს ებრაელთა მუზეუმის მონახულება)  
და შემდგომ თანაკლასელებს წარმოუდგინონ კლასში.

ვიდეო რესურსები ებრაული, კათოლიკე, მუსლიმი და სომხური თემის  
საქართველოში ცხოვრების შესახებ:

1. „ქართველი ებრაელები საქართველოში“  
<https://www.youtube.com/watch?v=gJRkvsWC46M>
2. „ჩვენი ეზო - ქართულ-ებრაული 26- საუკუნოვანი მეგობრობა“  
<https://www.youtube.com/watch?v=WOWPJRI8i64>
3. “კათოლიკე ეკლესია საქართველოში”  
[https://www.youtube.com/watch?v=y-E2YwOL\\_N4](https://www.youtube.com/watch?v=y-E2YwOL_N4)
4. “საქართველოს მუსლიმები”  
<https://www.youtube.com/watch?v=12p8IkQbN20>
5. “ეთნიკური სომხები საქართველოში”  
<https://www.youtube.com/watch?v=nh6pAB7Hm2c>
6. “ჩვენი ეზო – კათოლიკეები საქართველოში”  
<https://www.youtube.com/watch?v=okAVdLe-6T4>

## დანართი

დანართი 1 (დავით ბაზოვის ოჯახი)



წყარო: [http://damoukidebloba.ge/c/news/Stalin%27s\\_Terror\\_October\\_1938](http://damoukidebloba.ge/c/news/Stalin%27s_Terror_October_1938)

## დანართი 2 - ონის სინაგოგა



წყარო:

[https://commons.m.wikimedia.org/wiki/File:Oni\\_Synagogue,\\_building.jpg#mw-jump-to-license](https://commons.m.wikimedia.org/wiki/File:Oni_Synagogue,_building.jpg#mw-jump-to-license)

ავტორი: დათო როსტომაშვილი

დანართი 3 - ლაილაშის თორის ხელნაწერის ფრაგმენტი



წყარო: <https://tinyurl.com/y32fpeqg>

ავტორი: გივი ღამბაშიძე


დანართი 4 -ლაილაშის მეგობრობრული თანაცხოვრების ობელისკი



ავტორი: გიორგი მენაფირე




დანართი 5 - კრისტოფორო დე კასტელის ჩანახატი „ბაზრობა ილორის ეკლესიასთან“




წყარო: <https://tinyurl.com/y6lmj8be>

დანართი 6 - კრისტოფორო დე კასტელის ჩანახატი, „გორის ციხე“



წყარო: <https://tinyurl.com/y5fs7k3n>

დანართი 7 - პეტრე ოცხელის ნახატი სპექტაკლიდან, „მფრინავი მღებავი“



წყარო: <https://burusi.files.wordpress.com/2010/04/flying-painter-1931e18395.jpg>

დანართი 8 - ძმები ზუბალაშვილები (ლევანი და პეტრე)



წყარო: <http://tinyurl.com/y3f25nnu>

დანართი 9 – ძმები ზუბალაშვილების მიერ აგებული ბათუმის კათოლიკური ტაძარი



ბათუმის კათოლიკეთა მარიამ ღვთისმშობლის ლათინური ეკლესია. თავდაპირველი ხედი



ბათუმის კათოლიკეთა მარიამ ღვთისმშობლის ლათინური ეკლესია.

წყარო: <https://www.marketer.ge/dzmebi-zubalashvilebi/>

დანართი 10 (საიათნოვა)



წყარო: <http://sayat-nova.org/en/ashughs/>

დანართი 11 (ჰოვანეს თუმანიანი)



წყარო: [https://commons.m.wikimedia.org/wiki/File:Tumanyan\\_\(2\).jpg#mw-jump-to-license](https://commons.m.wikimedia.org/wiki/File:Tumanyan_(2).jpg#mw-jump-to-license)

დანართი 12 (ზოზარჯიანის სახლი ჭონქაძის ქუჩაზე)



წყარო: <http://tinyurl.com/y6q2ex2j>




დანართი 13 - ფარი ხანუმ სოფიევა



წყარო: <http://archive.ge/ka/blog/9>

დანართი 14 - თბილისის მაზრის ერობის ყრილობაზე დასწრების ამსახველი დოკუმენტი და ფარი ხანუმის ხელმოწერა



წყარო: <http://archive.ge/ka/blog/9>


დანართი 15 - მემედ აბაშიძე



წყარო: <http://www.photomuseum.org.ge/photographers/gaidabura/01.jpg>

ავტორი ნ. გაიდაბურა

დანართი 16 – ღორჯომის მეჩეთი



წყარო: სიუზან ჰერის-ბრანდტსი, ენჯელა ვილერი და ვლადიმერ შიოშვილი, აჭარის ხის მეჩეთები, ისლამური არქიტექტურული მემკვიდრეობა საქართველოში, პირველი გამოცემა 2018 წ.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. მრავალეთნიკური საქართველო გასულ საუკუნეში, ფონდი ღია საზოგადოება- საქართველო. რედ. ბელა ცარახოვა, ნესტან ჩხიკვაძე, თბილისი, 2004.
2. ირაკლი ლორთქიფანიძე „დავიწყებული ისტორიები: კათოლიკური და ებრაული თემები ქუთაისში. თბილისი. 2019. კონრად ადენაუერის ფონდი. მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი.
3. რევაზ გაჩეჩილაძე, „სომხეთი და სომხები - უცნობი ნაცნობი.
4. ეთნოსები საქართველოში. რედ. მერაბ ბასილაია. 2008. თბილისი. საქ. სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრი.
5. უმცირესობები, მრავალეთნიკური საქართველო. შემდ. ღია მელიქიშვილი. თბილისი. 2008. ადამიანის რესურსების განვითარების ფონდი.
6. არჩილ ქიქოძე, ჩემი სამყარო: ჟურნალი ახალგაზრდებისათვის,.. 2014. საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი.
7. ლელა კაკაშვილი, კათოლიკე მისიონერების საქართველოში. 2018 (ელ.ვერსია).
8. კათოლიკური მემკვიდრეობა საქართველოში. 1-ლი საეთაშორისო სიმპოზიუმის მასალები. რედ. მერაბ ლაღანიძე. თბილისი. 2018. სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის გამომცემლობა  
მაია დამენია, XVII საუკუნეში მოღვაწე კათოლიკე მისიონერის გაეტანო რასპონის „რელაცია სამეგრელოს შესახებ“ და მისი მნიშვნელობა ქართული კულტურის კონტექსტში. გვ. 69-82  
მანანა ჯავახიშვილი, ირაკლი ფერაძე, კათოლიკე მისიონერები და გვიან შუა საუკუნეების ქართული განათლება. გვ. 83-92

- სულიკო გრიგალაშვილი, *მონტობანის ქართული სავანე*. გვ. 161-168
9. ნინო ჩიქოვანი. ირაკლი ჩხაიძე, *იდენტობის ნარატივები საქართველოში: მრავალეთნიკური ქართველი ერის სათავეებთან (1860-1918)*. თბილისი. 2014.
  10. *მრავალეთნიკური და მულტიკულტურული საქართველო*, კურსის შემდგენელი დავით მალაზონია. თბილისი. 2015. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
  11. ზაქარია ჭიჭინაძე, *ქართველი ებრაელები საქართველოში*. თბილისი, 1990.
  12. ელდარ მამისთვალიშვილი, *ქართველ ებრაელთა ისტორია*. გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1995.
  13. სიუზან ჰერის-ბრანდტსი, ენჯელა ვილერი და ვლადიმერ შიომშვილი, *აჭარის ხის მეჩეთები, ისლამური არქიტექტურული მემკვიდრეობა საქართველოში*, თბილისი, 2018.
  14. მოსე ჯანაშვილი, *ფარსადან გორგიჯანიძე და მისნი შრომანი*. თბილისი. 1896.
  15. სარგის კაკაბაძე, *ფარსადან გორგიჯანიძე, საქართველოს ცხოვრება*. საისტორიო მოამბე, ტ. II, თბილისი. 1925.
  16. ზაქარია ჭიჭინაძე, *ქართველ კათოლიკენი ყველა ასპარესზედ, ზოგი რამ წერილები დასავლეთ საქართველოზე*, თფილისი. 1905.
  17. დურმიშხან ლაშხი, *ბრძოლა ეროვნული ღირებულებების პრაქტიკული რეალიზებისათვის საქართველოში მეცხრამეტე საუკუნის ბოლოსა და მეოცე საუკუნის დასაწყისში (ქველმოქმედნი და მეცენატნი)*, თბილისი. 2016.
  18. ნუგზარ პაპუაშვილი, *სადღეისო პრობლემებიდან: ისლამი და საქართველო*, სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრი, <http://www.tolerantoba.ge/index.php?id=1281619861&kat=323> (წვდომის თარიღი: 01.09.2019)

19. რელიგიები საქართველოში, რედაქტორი: ზურაბ კიკნაძე, გამოსაცემად მომზადებულია საქართველოს სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრის მიერ, თბილისი. 2008.
20. გოგი გვახარია, *პეტრე ოცხელი - 100, რადიო თავისუფლება, 2007.*  
[www.radiotavisupleba.ge/amp/1554306.html](http://www.radiotavisupleba.ge/amp/1554306.html) (წვდომის თარიღი: 01.09.2019)
21. მარიამ ნაცვლიშვილი, *ამბავი პეტრე ოცხელზე*, მარკეტერი. 2019.  
<https://www.marketer.ge/petre-otskheli-story/> (წვდომის თარიღი: 03.09.2019)
22. სერგო გერსამია, *მემედ აბაშიძე. ბიოგრაფიული ნარკვევი*, ბათუმი. 1960.
23. სიუზან ჰერის-ბრანდტსი, ენჯელა ვილერი და ვლადიმერ შიომვილი, *აჭარის ხის მეჩეთები, ისლამური არქიტექტურული მემკვიდრეობა საქართველოში*, პირველი გამოცემა 2018 წ.
24. ირაკლი ხვადაგიანი, *ყარაიაზის მატრიარქი - ფარი-ხანუმ სოფიევა*, საზოგადოებრივი არქივი, SOVLAB. 2017. <http://archive.ge/ka/blog/9> (წვდომის თარიღი: 02.09.2019)
25. William Dubar, *The world's first democratically elected Muslim woman was from Georgia*, Eurasianet. 2018. <https://eurasianet.org/the-worlds-first-democratically-elected-muslim-woman-was-from-georgia>, (წვდომის თარიღი 08.09.2018)